საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030149500326417

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14830 **13 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ თეა მაისურაძეს

ქალბატონო თეა,

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 21-23 მარტს ბელგიაში, ქ. ბრიუსელში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ტარდება მე–5 ყოველწლიური ტექნიკური შეხვედრა წევრი ქვეყნების მონაწილეობით, რომელიც ეძღვნება საყოველთაო ჯანდაცვის საკითხებზე პარტნიორულ თანამშრომლობას. შეხვედრაზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 28 წევრი ქვეყნის წარმომადგენლები განიხილავენ და იმსჯელებენ ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის დაგეგმარების საკითხებზე.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნინო ბერძული. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია ქალბატონი ნინო ბერძულის სიტყვით გამოსვლა, 2013 წლიდან დღემდე საქართველოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვით მიღწეული პროგრესის თაობაზე.

მოგმართავთ თხოვნით, უზრუნველყოთ ბელგიაში საქართველოს საელჩოს ჩართულობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ბრიუსელში ვიზიტის ორგანიზაციულ საკითხებთან (დახვედრა/გაცილება) დაკავშირებით.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მარიანა მკურნალი